საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №281

6 ნოემბერი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 6 ნოემბერს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, მარინა მუსხელიშვილი, გიორგი კოხრეიძე, ლელა გაფრინდაშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის მიერ მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერილის განხილვა.
2. PKF UBC Services LLC-ი აუდიტორული კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, მაუწყებლის გენერალური დირექტორის სახელზე გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღება.
3. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით ესწრებოდნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი და მისი მოადგილე ფინანსურ დარგში კახაბერ სონიშვილი.

პირველი საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს სახელზე შემოვიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის სამსახურებრივი ბართი, სადაც ის მოგვმართავს თხოვნით მივიღოთ გადაწყვეტილება შპს „PKF UBC Services LLC"-აუდიტორულ კომპანიას და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლეს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.გრგიოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ მოლაპარეკების დროს აუდიტორული კომპანიის წარმომადგენლებმა დააყენეს აღნიშნული საკითხი, რომ ჩასატარებელი სამუშაოს დეტალურად გაცნობის შემდგომ შეიძლებოდა დამდგარიყო სამუშაოს შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის

გაგრძელების საჭიროება. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „PKF UBC Services LLC"-ს აუდიტორულ კომპანიას და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლეს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილება,რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მეორე საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ მეორე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მაუწყებლობის მენეჯმენტის წარმომადგენლების მიერ საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერილობითი მოთხოვნა, კერძოდ -დამტკიცებული 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო მუხლიდან, წერილში მითითებული მოცულობის თანხების გახარჯვაზე, თანხმობის მიცემას, მითითებული მიზნობრიობით. საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა, აღნიშნეს რომ მენეჯმენტის მიერ გამოგზავნილ წერილობით მოთხოვნაში უმეტეს საკითხებზე დასაბუთება არა საკმარისი იყო გადწყვეტილების მიღებისთვის, მარინა მუსახელიშვილმა მიმართა მაუწყებლის გენ. დირექტორს, რომ შემდგომში მოთხოვნის ფორმა უნდა შეიცავდეს ყოველ კონკრეტულ საკითხზე დეტალურ ინფორმაციას. საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ საბჭოს სახელზე წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნაში, 1-ელ, მე-2, მე-6 და მე-7 პუნქტებში მითითებულ საკითხებს დაუჭერენ მხარს. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მიმდინარე საკითხები

საბჭოს წევრმა სანდრო ვახტანგოვმა მიმდინარე სხდომაზე წარმოადგინა- ტელევიზიის, ხელოვნების და მეცნიერების საერთაშორისო აკადემიის „ემი ინტერნაციონალი"-ს შემოთავაზება, რომლის წარმომადგენლებთან ის აწარმოებდა მოლაპარაკებას, მათი მხრიდან არის შემოთავაზება, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი" გახდეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. საკითხს დაეთანხმნენ, როგორც საბჭოს წევრები ასვე მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლები, კახა სონიშვილი დაუკავშირდება აღნიშნულ ორგანიზაციას და შეთანხმდებიან შემდგომ პროცედურებზე, რაც საჭირო არის აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის.
საბჭოს წევრმა ქეთევან მსხილაძემ, კითხვით მიმართა სხდომაზე დამსწრე მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, კერძოდ: ქ. ბრიუსელში საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლად ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძის დანიშვნას, გიორგი ბარათაშვილმა განმარტა, რომ გიორგი ფოფხაძე 3 თვის ვადით დაინიშნა აღნიშნულ პოზიციაზე, ჟურნალისტი (ქეთევან ქარდავა), რომელიც მის დანიშვნამდე ასრულებდა ამ მოვალეობას, თბილისში მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურში, საქმის მოცულობიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა მისი გამოძახება, მომავალში ქეთევან ქარდავა, დაბრუნდება ბრიუსელში თავის პოზიციაზე. ქეთევან მსხილაძემ დააფიქსირა საკუთრი შეხედულება და აღნიშნა, რომ გიორგი ფოფხაძე არის ჰომოფობიური გამონათქვამების ავტორი და ასეთი შეხედულების ჟურნალისტის საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობა

ვერ დაგვეხმარება დავიცვათ ეთიკურ-პროფესიული სტანდარტები. აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: მარინა მუსხელიშვილმა და გიორგი კოხრეიძემ. საკთხზე მსჯელობის დასრულების შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 6 ნოემბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე — გრიგოლ გოგელია

სხდომის მდივანი — ირინე ზაქარიაშვილი